განმცხადებელი : თინა ცომაია, ნინო ივანიშვილი

თარიღი : 23-12-2024

მივიჩნევ, რომ ჟურნალისტმა/რედაქტორმა დაარღვია საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პრინციპ(ებ)ი: : პრინციპი 1;პრინციპი 7;პრინციპი 9;პრინციპი 11

ინფორმაცია ჟურნალისტის/რედაქტორის შესახებ, რომელმაც სავარაუდოდ დაარღვია ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პრინციპები : პირველი არხის საგანგებო ეთერის წამყვანის მაკა ცინცაძის პროფესიული ეთიკის ნორმების დარღვევასთან დაკავშირებით. მაკა ცინცაძე გადაცემა აქტუალური თემის წამყვანი. საიტზე განთავსებული ინფორმაციიდან ასევე ცნობილი ხდება რომ მას მიჰყავდა არჩევნები 2024.

სადავო მასალა : პირველი არხის საგანგებო ეთერის II ბლოკი. სტუმრები: მარინა ჩიტაშვილი, ირაკლი
ფიფია https://1tv.ge/video/pirveli-arkhis-sagangebo-eteris-ii-blokis-stumrebi-marina-chitashvili-irakli-fifia/?fbclid=IwZXh0bgNhZW0CMTAAAR0gQ54T-twhu2qwhp7qRig0bIZFdYWhNYb0RxHc2Kahsl0P0NCDzbJyDtg_aem_wX5D3KERO64_08sfkhM4sA

ჟურნალისტის//რედაქტორის მიერ ქარტიის პრინციპების დარღვევის დასაბუთება : მაკა ცინცაძემ დაარღვია საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პირველი პრინციპი, რომლის მიხედვითაც „ჟურნალისტმა პატივი უნდა სცეს სიმართლეს და საზოგადოების უფლებას – მიიღოს ზუსტი ინფორმაცია.“ იმ დროს, როდესაც მისი რესპონდენტი, ირაკლი ფიფია, საუბრობდა სახელმწიფოს მხრიდან მის მიმართ გამოხატულ მძიმე დანაშაულსა და სისასტიკეზე, ნაცლად იმისა, რომ ჟურნალისტს რესპონდენტისთვის მოესმინა და სხვა მტკიცებულებებით გაემყარებინა საუბარი, ის მიკერძოებულად რესპონდენტს, ტყუილში ადანაშაულებდა: “ნუ ვაკადრებთ ტყუილებს ჩვენს მაყურებელს”; “ეს არ არის სიმართლე. ეს არის აბსოლუტური ტყუილი,” ამბობდა ის.

ირაკლი ფიფიას მიერ კონსტატირებული ფაქტის საპირისპიროდ, რომ საზოგადოებრივი მაუწყებლის თანამშრომლები ფინანსდებიან მოქალაქეების გადასახადებით, მაკა ცინცაძემ გაავრცელა არაზუსტი ინფორმაცია, თითქოს ყველაფერი პირიქით ხდებოდა: „ჩვენ კიდევ თქვენ გაფინანსებთ, როცა მუშაობთ სხვადასხვა უწყებებში,“ განაცხადა მან.

მაკა ცინცაძემ დაარღვია ბალანსის პრინციპი: „მოამბის“ საგანგებო ეთერში, ირაკლი ფიფიას, 1 საათისა 13 წუთის განმავლობაში, მხოლოდ 5 წთის განმავლობაში მიეცა საშუალება შეუწყვეტლად ესაუბრა. ამ ეთერში, ცინცაძის მიერ მრავალგზის იყო წახალისებული ძალადობა, როდესაც ის თავისუფალი მოქალაქეების წამებას ტოლობის ნიშანს უსვამდა პოლიციელების მიმართ დაუდასტურებელი ძალადობის შემთხვევებს

(აღსანიშნავია, რომ ამ გადაცემაში მას არც ერთი ფაქტი არ მოუყვანია, სადაც ჩანდა პოლიციელების მიმართ წამება და არაადამიანური მოპყრობა). ასევე, საინტერესოა, რამდენად ჰქონდა ადგილი ფაქტის განზრახ დამახინჯებას, და შესაბამისად, ქარტიის მეთერთმეტე პრინციპის დარღვევას იმ დროს, როდესაც ფიფია საუბრობდა მის მიმართ გამოხატულ მძიმე დანაშაულსა და სისასტიკეზე, ნაცლად იმისა, რომ ჟურნალისტს რესპონდენტისთვის მოესმინა, მიუკერძოებლად დასმული შეკითხვებით გამოევლინა მტკიცებულებები და ამ მტკიცებულებებით გაემყარებინა საუბარი, ის მიკერძოებული იყო, და რესპონდენტს, მოსმენის გარეშე, ტყუილში ადანაშაულებდა. ამასთან, მაკა ცინცაძე მაყურებელს თავს ახვევდა დრომოჭმულ –„იმან თქვა, ამან თქვა“ პრინციპს ფაქტების გადამოწმებისა და სიმართლეზე დაფუძნებული ჟურნალისტიკის სანაცვლოდ: “მუდმივად არის საუბარი იმაზე, რომ მობრძანდეთ დაბრძანდეთ და ესაუბროთ მეორე მხარეს სანამდეც გაგეხარდებათ,” ეუბნება ის რესპონდენტს. ფიფია კი პასუხობს: სადამდე გამეხარდება კი არა, სანამ სიმართლე არ გამჟღავნდება.

მაკა ცინცაძემ დაარღვია ეთიკის ქარტიის მე –7 –ე პრინციპი, რაც გულისხმობს დისკრიმინაციის წახალისებას. ეს პრინციპი გვეუბნება, რომ ჟურნალისტს უნდა ესმოდეს მედიის მიერ დისკრიმინაციის წახალისების საფრთხე; ამიტომ ყველაფერი უნდა იღონოს ნებისმიერი პირის დისკრიმინაციის თავიდან ასაცილებლად. ამ სახით მაკა ცინცაძემ დაარღვია ისეთი მნიშვნელოვანი პრინციპი, როგორიცაა დაიცვას და საზოგადოებას გააგონოს ის ხმა, ვისი ხმაც ან არ ისმის, ან ნაკლებად ისმის. როცა ცინცაძე ფიფიას განუწყვეტლივ აწყვეტინებდა და მატყუარას უწოდებდა, ირიბად სხვა დაზარალებულებსაც ხომ არ უგზავნიდა მესიჯს რომ ისინიც მატყუარები არიან. მაკა ცინცაძემ გადალახა პიროვნების პატივისცემის საზღვრები, როდესაც ეპაექრებოდა ამ ეთერის სტუმარს, დაზარალებულ ირაკლი ფიფიას და არ აძლევდა საშუალებას თავისუფლად გამოეხატა აზრი. მან ვერ მოახერხა რესპონდენტისთვის თავისუფალი სასაუბრო გარემოს შექმნა, რესპონდენტის გამოცდილების დადებით ასპექტებზე ფოკუსირება. პირიქით, მტრული გარემო შექმნა რესპონდენტისათვის იმით, რომ ხმას აუწია, მატყუარა უწოდა რესპონდენტს, არ აცალა აზრის გამოხატვა და ჩაითრია შეურაცხმყოფელ დისკუსიაში. სავარაუდოდ ამ დროს ის არ ფიქრობდა რესპონდენტის რეტრავმატიზაციის რისკზე. მაკა ცინცაძემ ვერ გაიაზრა თუ რა ძალაუფლებას ფლობს, როგორც მედიის წარმომადგენელი, ჟურნალისტი, გადაცემის წამყვანი (ან, გაიაზრა და გამოიყენა ეს ძალაუფლება), ნაცვლად იმისა, რომ აღმოეფხვრა დისბალანსი, ყოველ წამს უმეორებდა რესპონდენტს, რომ მის სტუდიაში იმყოფებოდა, თითქოს აყვედრიდა საეთერო დროს და ქმნიდა განწყობას, თითქოს გადაცემის ნაცვლად, რესპონდენტი დაკითხვაზე იყო დაბარებული. ამ შემთხვევაშიც არ იყო გათვალისწინებული რესპონდენტის რეტრავმატიზაციის შესაძლებლობა. მაკა ცინცაძე იყენებდა იმპერატიულ და შეფასებით ენას და განზოგადებებს, რომლებიც მიმართული იყო არა ფაქტების და სიმართლის წარმოსაჩენად, არამედ საზოგადოების შეცდომაში შესაყვანად და დაპირისპირების გასაღვივებლად. „არა! არ დაასრულებთ! მე გკითხავთ და პარალელურ რეჟიმში გააგრძელებთ! „ჩემთან სტუდიაში იმყოფებით!“ ამბობდა ის. მაკა ცინცაძემ წარმოაჩინა თავისი თავი პირვეი არხის დამცველად, როდესაც ის ხოტბას ასხამდა არხს და

მის ადმინისტრაციას, მაშინ როდესაც საზოგადოებრივი მაუწყებლის თანამშრომლები, და განსაკუთრებით ჟურნალისტები, პოლიტიკური და კომერციული გავლენისგან თავისუფალი უნდა იყვნენ. ამგვარად მან დაარღვია ქარტიის მე-9-ე პრინციპი, სადაც აღნიშნულია, რომ სარედაქციო მასალები მკვეთრად უნდა გაიმიჯნოს მარკეტინგული, სარეკლამო და სპონსორის მიერ დაფინანსებულ მასალებს.

რადგან გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება აუცილებელია საზოგადოებრივი მაუწყებლის მიმართ, გთხოვთ მიიღოთ შესაბამისი ზომები თქვენი პასუხისმგებლობის ფარგლებში.

პატივისცემით,

თინა ცომაია ნინო ივანიშვილი

განცხადება და თანდართული მასალები, დასაშვებობის შემთხვევაში, ხდება საჯარო და ნებისმიერ პირს ექნება საშუალება გაეცნოს მას. : ვეთანხმები